მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა საქართველოს ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების ინდუსტრიაზე: განვითარების არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

[1,2]**ელისაბედ ბალიაშვილი,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

[1]საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

[2]ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პერსონალი;

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2025.11.01.04

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია გლობალური (მათ შორის, საქართველოს) ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები 2018–2025 წლების პერიოდში, ასევე მაკროგარემო ფაქტორები, რომლებმაც მისი ზრდა შეაფერხა. კერძოდ, განხილულია:

1. ***საერთაშორისო მდგომარეობა,*** ისეთი ძირითადი ინდიკატორებით, როგორიცაა: ომი, კრიზისი და ეპიდემიოლოგიური პირობები;

2. ***ქვეყნის პოლიტიკური გარემო,*** ისეთი ინდიკატორებით, როგორიცაა: პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა და საგარეო ურთიერთობები.

სანდო წყაროებზე დაყრდნობით, ავტორი აანალიზებს არსებულ ვითარებას და წარმოგვიდგენს საკუთარ მოსაზრებებს პოტენციურ შედეგებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ნაშრომი განსაზღვრავს და აფასებს საქართველოსა და მისი ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების სექტორის წინაშე არსებულ ახალ და მნიშვნელოვან გამოწვევებს. ამასთან დაკავშირებით, ავტორის მიერ შემოთავაზებულია რეკომენდაცია.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების ინდუსტრია; საერთაშორისო ვითარება; ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა; ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული საერთაშორისო ვიზიტები.*

The Impact of Macroeconomic Factors on Georgia's Tourism and Hospitality Service industry: Current Development Condition and challenges

[1,2]**Elisabed Baliashvili**, Academic Doctor of Economics;Professor,
[1]David Agmashenebeli University of Georgia
[2]Invited staff of the Faculty of Economics and Business Ivane Javakhishvili Tbilisi State University ;

Abstract

The paper examines the development trends of the global (including Georgia's) tourism and hospitality industry during the period of 2018–2025, along with the macro-environmental factors that have hindered its growth. Specifically, it discusses:

1. ***The international Condition***, with key indicators such as war, crisis, and epidemiological conditions;
2. ***The political environment of the country***, with indicators such as the stability of the political system and external relations.

Based on credible sources, the author analyzes the current situation and presents personal insights and their potential consequences. In addition, the paper identifies and evaluates — with well-reasoned arguments — the new and significant challenges facing Georgia and its tourism and hospitality service sector.

In this regard, by the author proposed recommendation.

Keywords: *Tourism and Hospitality Service industry; International situation; The political situation of the country; International visits from EU countries.*

შესავალი

მსოფლიო ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების ინდუსტრია ეკონომიკის ერთ-ერთი მზარდი და მნიშვნელოვანი სექტორია, რომლის განვითარება ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელს. მას მსოფლიო ეკონომიკაში წელიწადში რამდენიმე ტრილიონი დოლარი შეაქვს, ქმნის მნიშვნელოვან წილს მშპ-ში და ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყნის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას და საკომუნიკაციო სისტემების განვითარებას (**Katsitadze, N.,**

Baliashvili, E., & Tushishvili, N. 2022). აგრეთვე იგი გავლენას ახდენს გარე ვაჭრობაზე, ინვესტიციების მოზიდვასა და ქვეყნის გეოგრაფიულ განვითარებაზე.

საქართველო არ არის გამონაკლისი, ტურიზმი წარმოადგენს სტრატეგიულ ეკონომიკურ მიმართულებას. ცნობილია, რომ 2024 წელს ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 6.5 მილიონი შეადგინა, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 4.4 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2023 წელთან შედარებით 7.3%-ითაა გაზრდილი **(საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2025).**

შედეგები

თანამედროვე მსოფლიო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლის, გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების პირობებში, საზოგადოებაში მიმდინარე ნებისმიერი ვითარება კომპლექსურად განიხილება. ამ მიდგომას ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესებიც, რომლებიც დინამიურობით, მაღალმგრძნობელობითა და მრავალფეროვნებით ხასიათდებიან (**Katsitadze, N., Baliashvili, E., Qutateladze, M. (2023).** ისინი გამოწვეულია: მიკრო, მაკრო და მეზო გარემოს ფაქორებით (პირდაპირ ან ირიბად მოქმედებენ ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების ინდუსტრიის განვითარებაზე), რაც დასტურდება ბოლო წლების მსოფლიო, მ.შ. საქართველოს, ტურიზმისა და სასტუმრო მომსახურების ბაზრის ეკონომიკური მდგომარეობით (ცხრილი #1, #2) .

ცხრილი #1

მსოფლიო ტურიზმისა და მასპინძლობის (მ.შ. სასტუმრო) მომსახურების ინდუსტრიის ეკონომიკური მაჩვენებლების განვითარების დინამიკა 2018- 2024 წლებში [1]

მსოფლიო ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები
2018 წელი
დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში ***2.8 ტრილიონი აშშ დოლარი*** შეადგინა (3.2%) და ხელი შეუწყო 123 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 10,4 %, ერთი

[1] ***შენიშვნა.*** WTTC აწარმოებს ანგარიშებს, რომელიც ეხება საერთაშორისო ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის ზეგავლენას ეკონომიკასა და დასაქმებაზე, რომელიც მოიცავს მსოფლიოს 185 ქვეყანასა და 26 გეოგრაფიულ თუ ეკონომიკურ რეგიონს

ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4,4% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6,5 % მსოფლიოს მთლიან ექსპორტში.
2019 წელი
დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში ***8,9 ტრილიონი აშშ დოლარი*** შეადგინა და ხელი შეუწყო 330 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. საერთაშორისო ვიზიტორების ხარჯი განისაზღვრა - 1,9 ტრილიონი აშშ დოლარით. აღნიშნული სექტორის მთლიანი წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 10,3 %, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4,4% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6,8 % მსოფლიოს მთლიან ექსპორტში.
2020 წელი
მსოფლიოში საერთაშორისო ტურისტული შემოსვლების რაოდენობა 1 მილიარდით შემცირდა. ეს გადათარგმნილი ეკონომიკურ მაჩვენებლებში არის შემოსავლის ***1.3 ტრილიონი დოლარით შემცირება,*** გლობალური მშპ-ს დანაკარგი ***2 ტრილიონი დოლარის*** მოცულობით, ასევე 100-120 მილიონი სამუშაო ადგილი რისკის ქვეშ.
2021 წელი
ტურიზმის დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიოს მთლიან მშპ-ში ***5.8 ტრილიონი აშშ დოლარი*** შეადგინა (+21.7%) და შექმნა 289 მილიონი სამუშაო ადგილი. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღებით, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 6.1%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან".
2022 წელი
ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის კონტრიბუციამ მსოფლიოს მთლიან მშპ-ში ***7,7 ტრილიონი აშშ დოლარი*** შეადგინა (ზრდა წინა წელთან შედარებით 22%) და ხელი შეუწყო 22 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას. საერთაშორისო ვიზიტორების ხარჯები 2021 წელთან შედარებით გაიზარდა 81.9%-ით, მაგრამ 40.4%-ით ჩამორჩება 2019 წლის მონაცემებს. (Travel and tourism: share of global GDP 2019-2033 Published by Statista Research Department, Jan 30, 2024; https://www.statista.com/statistics/1099933/travel-and-tourism-share-of-gdp/) აღნიშნული ინდუსტრია შეფასდა ***4,548 ტრილიონ აშშ დოლარზე*** მეტით და გაკეთდა პროგნოზი იმის შესახებ, რომ საშუალო წლიური ზრდის ტემპი (CAGR) 2021-დან 2025 წლამდე გაიზრდებოდა 7%-ით https://www.condorferries.co.uk/hotel-industry-statistics#: text=priority%2C%20behind%20price. million%20guestrooms%20in%20the%20world
2023 წელი
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 7,072,220 (+30.3%) შეადგინა. ამ დარგის კონტრიბუციამ მშპ-ში 9.1% შეადგინა (ზრდა წინა წელთან შედარებით 23.2%) და ხელი შეუწყო 27 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 9.1%-ით მეტია.

რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებს, 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 31.1 %-ით, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებელს.
2024 წელი
დარგის კონტრიბუციამ მსოფლიო ეკონომიკის 10% შეადგინა (ზრდა წინა წელთან შედარებით 8.5%). სამუშაო ადგილების რაოდენობა 6.2%- ით გაიზარდა და 357 მილიონს მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან ერთი ტურიზმის სფეროშია. საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯები გაიზარდა და 1.63 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია.
მსოფლიო სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები
2017 წელი
ყველა კლასის (ბრენდირებული და არაბრენდირებული) სასტუმროების მომსახურების მიწოდების მაჩვენებლის მაქსიმალური ზღვარი ბოლო 15 წლის დიაპაზონში დაფიქსირდა 3.6%-იანი ზრდით, საერთაშორისო სასტუმრო კომპანიების შემოსავლებმა 497, 17 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა
2021-2024 წლები
2021 წელს საერთაშორისო სასტუმრო კომპანიების შემოსავალი განისაზღვრა 218,13 მლრდ აშშ დოლარით; 2022 წელს - 355,379 მლრდ-ით; 2023 წელს 411.03 მლრდ-ით. 2024 წელს მსოფლიო სასტუმროების მომსახურების ბაზრის მოცულობამ 2024 წელს 3.98 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მნიშვნელოვნად მეტია 2023 წლის 3.44 ტრილიონ აშშ დოლართან შედარებით (https://www.globenewswire.com/news-release/2025/01/03/3003923/28124/en/State-of-the-Hospitality-Report-2024-Market-Soared-to-3-98-Trillion-Global-Long-term-Forecast-to-2028-and-2033.html)

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს 2019-2024 წლების სტატისტიკური მონაცემები; მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) 2019-2024 მონაცემები,

ავტორის მიერ ადაპტირებული ცხრილი

ცხრილი #2

2019-2025 წლებში ეკონომიკური მაჩვენებლების განვითარების დინამიკა საერთაშორისო მოგზაურობიდან განხორციელებულ საქართველოს ტურიზმისა და მასპინძლობის (მათ შორის, განთავსების საშუალებების) მომსახურების ინდუსტრიაში

2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი I 33
შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან (ათასი აშშ დოლარი) *წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*						
3,268,654	541,686	1,244,988	3,516,634	4 125 329	4 425 377	825 975
განთავსების საშუალებების უზრუნველყოფით დაკავებული კომპანიების შემოსავლები *(შემოსავლები ნომრებით სარგებლობიდან (Receipts from use of rooms) მლნ ლარი)*						
659.8	228.7	516.9	821.8	963.8	-	-

ტურიზმის წილი მშპ-ში (მლნ ლარი) *წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური*						
3,630	2,558	3, 498	4,377	4,924	5,869	-
მათ შორის, განთავსების ობიექტების წილი მშპ (მლნ ლარი)						
1559	637	1 096	1331	1 391,3	1 637,3	-

წყარო: Baliashvili, E. (2025). ავტორის მიერ ადაპტირებული ცხრილი

როგორც ვხედავთ:

1. ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიოს უდიდეს და მზარდი ტენდენციურობით აღსავსე ეკონომიკურ დარგს. შთამბეჭდავია ციფრები, რომლითაც ივსება ყოველწლიურად მსოფლიო ეკონომიკის შემოსავლები;
2. 2020-2021 წლებში იკვეთება მისი საგრძნობლად გაუარესებული მდგომარეობა. თუკი 2019 წელს მსოფლიოს მასშტაბით ტურიზმის პირდაპირმა კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში ***8,9 ტრილიონი აშშ*** დოლარი შეადგინა, 2020 წელს საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 2021 წელს- ***5.8 ტრილიონი აშშ*** დოლარამდე დაეცა. 2019 წელს საქართველოს შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან შეადგინა ***3,268,654 მლრდ ლარი***, განთავსების საშუალებების უზრუნველყოფით დაკავებული კომპანიების შემოსავლებმა - ***659.8 მლნ. ლარი***, ხოლო ტურიზმის წილმა მშპ-ში ***3,630 მლრდ ლარი.*** 2020 წელს ანალოგიურმა მაჩვენებლებმა განიცადეს ვარდნა და შეადგინეს - ***541,686 მლნ ლარი; 228.7 მლნ ლარი*** და ***2,558 მლრდ ლარი.*** შესაბამისად, კლების ტენდენცია დაფიქსირა მსოფლიო და საქართველოს ტურიზმის სექტორის განვითარების სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დარგის სტაგნაციაზე გავლენა იქონია ისეთმა მაკროეკონომიკურმა ფაქტორმა, როგორიცაა - ***საერთაშორისო ვითარება*** (მოიცავს გლობალურ პროცესებს - ომები, კრიზისები, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და სხვა, რომლებიც საზღვრებს სცდებიან და გავლენას ახდენენ ქვეყნებზე, ბაზრებსა და კომპანიებზე). მხედველობაშია, მასთან დაკავშირებული, მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული კოვიდ-პანდემია.

2022 წლის გაზაფხულზე ვითარება შეიცვალა. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის დასასრულმა ხელი შეუწყო ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების ინდუსტრიის კვლავ გამოცოცხლებას, მაგრამ მას დღემდე ხელს

უშლის *საერთაშორისო ვითარების კიდევ ერთი ინდიკატორი - ომი,* რომელიც გაჩაღდა 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინაზე. იგი წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმის აღდგენაზე მოქმედ მთავარ რისკ-ფაქტორს. უკრაინისა და რუსეთის საჰაერო სივრცის დახურვა, ისევე როგორც, რუსული გადამზიდავების აკრძალვა ბევრი ევროპული ქვეყნის მიერ, დიდ ზეგავლენას ახდენს შიდა ევროპულ მოგზაურობაზე, შესაბამისად, აღნიშნული ინდუსტრიის ზრდა-განვითარებაზე.

ცხადია, მსოფლიოს და საქართველოს ტურისტულ ბაზრებზე არსებული კომპანიების საქმიანობა, გადატანილი მძიმე პერიოდის მიუხედავად, დინამიურად განაგრძობს აღმასვლას, მაგრამ ჩვენს ქვეყანასთან მიმართებით, არ უნდა გამოგვრჩეს მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტურიზმის განვითარების დადებით ტენდენციას საქართველოში. ეს გახლავთ „ტურისტების სტატუსით“ რუსი და ბელორუსი მოქალაქეების დიდი რაოდენობით უკონტროლო შემოდინება ჩვენს ქვეყანაში, რომელიც დღემდე არ წყდება.

უკრაინაზე რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებულმა ომმა საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილში გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვია აგრესორი ქვეყნის ტურისტების მიმართ, რომლებიც ასე მრავლად არიან. უკვე ცალსახად გამოიკვეთა საერთაშორისო ვიზიტორების მღელვარება ამ საკითხთან დაკავშირებით და მოგზაურობასა და დასვენებას არა საქართველოში, არამედ - სხვა ქვეყნებში არჩევენ. დასავლეთიდან ჩამომსვლელ ტურისტებში ნდობის კლება გაამძაფრა: უსაფრთხოების, ღირებულებების შეუთავსებლობის ან არასტაბილურობის გარემოს არსებობამ. „ტურიზმი თითქმის ყველგან ერთნაირად სწრაფად აღდგა 2022 წელს, მათ შორის ევროპასა და მეზობელ თურქეთში. საქართველო ჩამორჩება გლობალური ტურიზმის აღდგენის დინამიკას, რადგან რუსეთ-უკრაინის ომმა შეასუსტა ტურისტების ჩამოსვლა, ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებიდან,“ (**Galt & Taggart, 2022**) ვკითხულობთ "გალტ ენდ თაგარტის" მიერ 2022 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ გასაჯაროებული მონაცემებიც ამაზე მეტყველებს. კერძოდ: „2022 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან (გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით) საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 272,916

(+96.1%) შეადგინა; 2021 წელს - 139,157 (+96.7%); 2020 წელს - 70,742 (-85.4%); 2019 წელს - 484,996 **(საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2019-2022**). როგორც ვხედავთ, 2019 წელს (პანდემიამდე პერიოდი) ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა (484,996) ბევრად აღემატება 2022 წლის ანოლოგიურ მაჩვენებელს - (272,916);

იგივე გარემოებაზე მიუთითებს სხვა კომპეტენტური წყაროც. მისი მიხედვით საქართველოში „ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან ტურისტების ზრდის ტემპმა 2015-დან 2019 წლამდე 54.5%-იანი ზრდას მიაღწია“ **(PMCG, 2020)**

2023 წელში განხორციელებული კვლევის შედეგად კი აღნიშნულია შემდეგი: „საქართველოში ***2023 წლის*** დასაწყისში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო პანდემიამდელ რიცხვზე (-23.3%), მაშინ, როცა ყველა სხვა რეგიონისთვის ვიზიტების რაოდენობა უტოლდებოდა ან აჭარბებდა პანდემიამდელ მაჩვენებელს“ **(Galt & Taggart", 2023).** არც 2024 წელს იყო სახარბიელო მდგომარეობა. საქართველოში ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან განხორციელებულმა ვიზიტებმა 438,414 შეადგინა (საერთო ვიზიტების 6.8%). თუმცა, 2024 წლის პირველი კვარტლის შემდეგ ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა ყოველ კვარტალში შემცირდა. ყველაზე მეტი ვიზიტი კი გერმანიიდან (17.9%) და პოლონეთიდან (15.2%) განხორციელდა **("Galt & Taggart", მარტი 2025).**

როგორც ვხედავთ, ამ ნეგატიურმა ვითარებამ ტენდენციური ხასიათი მიიღო. მდგომარეობას ართულებს კიდევ ერთი ***მაკროეკონომიკური ფაქტორი - პოლიტიკური მდგომარეობა*** (ინდიკატორები: პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა; ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობები; დემოკრატიის ხარისხი; კრიმინალური სიტუაცია და სხვა). მხედველობაშია, საგარეო პოლიტიკის ცვლილება, რაც გამოიხატა: დასავლეთთან, განსაკუთრებით - ევროკავშირთან და აშშ-თან ურთიერთობის დაძაბვაში.

თუ განვიხილავთ, რომელია ბოლო წლებში საქართველოში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების პირველი 15 ქვეყანა, მივიღებთ შემდეგ სურათს:

- 2022 წლის მონაცემებით, რუსეთს პირველი პოზიცია უჭირავს, ხოლო ბელორუსს - მეშვიდე. „ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან“ წარმოდგენილია მხოლოდ 1 ქვეყანა -

გერმანია, ხოლო „დანარჩენი ევროპიდან“: თურქეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი, უკრაინა და ყაზახეთი **(საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2022);**

- 2023 და 2024 წლების მონაცემებითაც რუსეთი ლიდერობს (ცხრილი #3);
- 2025 წლის I კვარტლის მონაცემებით, იგი 219,264 რაოდენობით მეორე პოზიციაზეა

თურქეთის შემდეგ **(საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2025 I კვარტალი)**

ცხრილი #3.

საქართველოში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, პირველი 15 ქვეყანა, 2023-2024 წლები

ქვეყანა	2023 წელი	2024 წელი	ცვლილება	ცვლილება %
რუსეთი	1,110,762	1,113,676	2,914	0.3%
თურქეთი	770,811	850,128	79,317	10.3%
სომხეთი	515,668	525,853	10,185	2%
ისრაელი	211,548	286,907	75,359	35.6%
აზერბაიჯანი	173,922	190,446	16,524	9.5%
ყაზახეთი	159,008	168,900	9,892	6.2%
ირანი	123,737	143,418	19,681	15.9%
ბელარუსი	124,333	133,747	9,414	7.6%
ინდოეთი	83,930	123,198	39,268	46.8%
უკრაინა	132,127	111,597	-20,530	-15.5%
ჩინეთი	46,875	85,742	38,867	82.9%
საუდის არაბეთი	70,676	85,383	14,707	20.8%
გერმანია	64,468	74,253	9,785	15.2%
პოლონეთი	88,405	64,629	-23,776	-26.9%
უზბეკეთი	49,432	61,478	12,046	24.4%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2024 წლის ანგარიში

ამასთან ერთად, „ტურისტების სტატუსით“ შემოსული რუსი და ბელორუსი მოქალაქეების უდიდესი ნაწილი უკვე თავადაა ჩვენს ქვეყანაში შეძენილი უძრავი ქონებისა და ტურისტული ბიზნესის პატრონი და იგი სულაც არ ასრულებს „სტუმრის

ფუნქციას“. ამის საკმაოდ მრავალი დადასტურებული მაგალითი არსებობს. ჯერ კიდევ 2022 წელს გამოიკვეთა ის გარემოება, რომ „საქართველოში 80,000-120,000 ვიზიტორი ჩამოვიდა იმაზე ხანგრძლივი ვადით, ვიდრე ტურისტები. ტურიზმის შემოსავლების 17.9% მოდის რუსეთზე 2022 წლის მაისში, შემდეგ ლიდერობს - ბელარუსი (ჯამურის 11.1%)” **("Galt & Taggart", 2022).**

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბოლო წლებში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების პირველ 15 ქვეყანას შორის გაჩდნენ: ***აზიისა და არაბული წარმოშობის ქვეყნები: ჩინეთი, ირანი, ინდოეთი, საუდის არაბეთი.*** არატურისტული ვიზიტების მიხედვით, კვლავ ისინი ლიდერობენ. „იმ 15 ქვეყნიდან, საიდანაც 2024 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა, წინა წელთან შედარებით ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ჰქონდა ჩინეთს, საიდანაც ვიზიტების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ასევე ვიზიტების მაღალი ზრდა შეიმჩნეოდა ინდოეთიდან და ისრაელიდან ("**Galt & Taggart", მარტი 2025; საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო 2025, I კვარტალი).**

მათი უკონტროლო შემოდინება ქვეყანაში გარკვეული საფრთხის შემცველია ქვეყნისთვის. პოლიტიკური კურსის ცვლილება ქვეყანას აყენებს ***ახალი გამოწვევების წინაშე, რადგან ქმნის პირდაპირ და არაპირდაპირ საფრთხეს არამხოლოდ ტურიზმის სექტორისთვის, არამედ- ქვეყნის მასშტაბით. მხედველობაშია:***

ა) საქართველოს საერთაშორისო იმიჯის დაზიანება;

ბ) დასავლელი ვიზიტორების ნდობის შემცირება. ამ ტრენდის შეცვლა მოქმედებს არა მხოლოდ ტურისტულ ნაკადებზე, არამედ ტურისტების ხარჯვით უნარებსა და სეგმენტზე — რადგან სწორედ ამ რეგიონებიდან ჩამოსულ ვიზიტორებს ახასიათებთ უფრო მაღალი საშუალო დანახარჯი;

გ) საინვესტიციო გარემოს გაურკვევლობა. ტურიზმი არ არსებობს მხოლოდ ვიზიტორებით - მას სჭირდება სერვისები, სასტუმროები, ინფრასტრუქტურა. როცა ქვეყანაში პოლიტიკური რისკები იზრდება, საერთაშორისო და ადგილობრივი ინვესტორები თავშეკავებით ეკიდებიან ახალი პროექტების დაწყებას, რაც აფერხებს სექტორის მატერიალურ განვითარებას;

არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2024 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 4.4 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, ეკონომიკური მაჩვენებლების ესოდენ კარგი გაუმჯობესება

განაპირობა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: სტუმრების დარჩენის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა და ინფლაცია. ანალოგიური სიტუაცია იყო 2023 წელსაც. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა პანდემიამდელ რიცხვს **(PMCG Research Q1 2023).**

ამდენად, აღნიშნული ვითარება მეტად საფრთხილო და ყურადსაღებია, რომლის იგნორირების შემთხვევაში, შეიძლება სერიოზული პრობლემა წარმოიშვას და შეფერხდეს არა მხოლოდ ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების ინდუსტრიის განვითარების ზრდის ტენდენცია, არამედ, მთლიანად - საქართველოსი.

დასკვნა

- ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების ინდუსტრია წარმოადგენს, მსოფლიოს უდიდეს და მზარდი ტენდენციურობით აღსავსე ეკონომიკურ დარგს, რაც დასტურდება იმ შთამბეჭდავი ციფრებით, რომლითაც ივსება ყოველწლიურად მსოფლიო ეკონომიკის შემოსავლები;
- მსოფლიო ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების ინდუსტრიაზე მოქმედებს მაკროგარემოს 2 უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: საერთაშორისო ვითარება და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა;
- საქართველოსთან მიმართებაში, დღეის მდგომარეობით მეტად საყურადღებოა საგარეო პოლიტიკის ცვლილება;
- 2025 წლის I კვარტალში საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდი გავლენა პოლიტიკურმა კრიზისმა მოახდინა. სხვა მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორებს შორის დასახელდა ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა და რუსეთის ომი უკრაინაში;
- პოლიტიკური კურსის ცვლილება ქვეყანას აყენებს ახალი გამოწვევების წინაშე, რადგან ქმნის პირდაპირ და არაპირდაპირ საფრთხეს არამხოლოდ ტურიზმის სექტორისთვის, არამედ- ქვეყნის მასშტაბით;
- ზემოაღნიშნული გარემოება ზედმიწევნით და უსწრაფესად უნდა იქნეს შესწავლილი და რეგულირებული მთავრობის მიერ, როგორც ქვეყნის

სახელმწიფოებრივი განვითარების - პოლიტიკური, სოციალური და დემოგრაფიული, ასევე, მისი - ეკონომიკური განვითარების მდგრადობის თვალსაზრისით.

ლიტერატურა

1. **Baliashvili, E. (2025).** COMPETITIVENESS IN THE TOURISM AND HOSPITALITY INDUSTRY., ECONOMICS, VOLUME 107, ISSUE 6-7; ISSN 2587-4713., DOI: 10.36962/ECS107/6-7/2025-13;

2. **Katsitadze, N., Baliashvili, E., Qutateladze, M. (2023).** The Trends of the Hotel Indusrtry Development in International and Georgian Markets., Economics & Business 4, tomi XV. ISSN 1987 – 5789 ESSN 2587 – 5426 doi 10. 56079;

3. **Katsitadze, N., Baliashvili, E., & Tushishvili, N. (2022**). The way to save the mountainous regions of Georgia is the clustering of tourism!!!, "Ekonomisti" #3, 2022. Journal DOI: 10.36172/EKONOMISTI p ISSN 1987-6890 e ISSN 2346-8432;

4. Statistical data of the Georgian National Tourism Administration for 2019-2025 (საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს 2019-2025 წლების სტატისტიკური მონაცემები);

5. Economic Impact of Travel and Tourism 2019-2024 Annual Update, WTTC; https://wttc.org/research/economic-impact; (მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს 2019-2024 მონაცემები);

6. National Statistics Office of Georgia, Statistical Yearbook (2024) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტატისტიკური წელიწდეული (2024);

7. PMCG, The Usaid Economic security program, Tourism Sector in Georgia, 2020 (PMCG პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფი), პოლიტიკის დოკუმენტი, ტურიზმის სექტორი საქართველოში, 2020);

8. Galt & Taggart, Global Equity Markets, 5 September 2022 (გალტ & თაგარტი, გლობალური საფონდო ბაზრები, 2022 წლის 5 სექტემბერი);

9. "Galt & Taggart", 2023. ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები 2023 წლის I ნახევარში;

10. "Galt & Taggart", 2025. Tourism indicators in 2024. Tourism quarterly review, March 2025 (გალტ & თაგარტი, ტურიზმის ინდიკატორები 2024 წელს. ტურიზმის კვარტალური მიმოხილვა, მარტი 2025);

11. Galt & Taggart", 2022 , Georgia/ Tourism Monthly Report June 16, 2022; (გალტ & თაგარტი, საქართველო/ ტურიზმი თვიური ანგარიში 16 ივნისი, 2022;

12. PMCG, Georgian Economic Climate, Q1 2023. Issue 21 | 09.03.2023 PMCG, (საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, 2023 წლის პირველი კვარტალი. გამოცემა 21 | 09.03.2023);

13. https://www.globenewswire.com/news-release/2025/01/03/3003923/28124/en/State-of-the-Hospitality-Report-2024-Market-Soared-to-3-98-Trillion-Global-Long-term-Forecast-to-2028-and-2033.html;

14. Travel and tourism: share of global GDP 2019-2033 Published by Statista Research Department, Jan 30, 2024; https://www.statista.com/statistics/1099933/travel-and-tourism-share-of-gdp/;

15. https://www.condorferries.co.uk/hotel-industry-statistics#:text=priority%2C%20behind%20price. ,million%20guestrooms%20in%20the%20world.